IBA 1992
შპს ინტერბიზნესის აკადემია
Interbusiness Academy LTD

კატალოგი

2025 წელი

თბილისი, შალვა ჯაფარიძის ქ. 7
(+995 32) 2-61-54-2
info@interbusiness.edu.ge

სარჩევი

შპს ინტერბიზნესის აკადემიის შესახებ **2**
აკდემიის მისია 2
ხედვა **2**
აკდემიის ღირებულებები 2
ინგა მანაშერიძე **2**
აკადემიის ისტორია **2**
ინტერბიზნესის აკადემიის პარტნიორები ორგანიზაციები **2**
პროფესიული პროგრამები **2**
განათლება 2
ჯანდაცვა 2
ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები 2
ბიზნესის ადმინისტრირება 2
შპს ინტერბიზნესის აკადემიაში ხორციელდება, მოკლევადიანი სასერთიფიკატო პროგრამები: ..... Error! Bookmark not defined.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა **2**
ფარმაცია (საათიაქო) V დონე 2
საექთნო საქმე V დონე 2
სკოლამდელი აღზრდა V დონე 15
ბუღალტრული აღრიცხვა V დონე 17
ვებტექნოლოგიები IV დონე 2
ინფორმაციის ტექნოლოგია III დონე 2
საფინანსო სერვისები III დონე 2
პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება **2**
გალერეა **2**

შპს ინტერბიზნესის აკადემიის შესახებ

შპს "ინტერბიზნესის აკადემია" წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიული პირს, რომელიც ლეგიტიმურ საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებს აკადემიის მისიის საფუძველზე და ფარგლებში. აკადემია ფუნქციონირებს 1992 წლიდან. აკადემიის დირექტორია ინგა მანაშერიძე.

აკდემიის მისია

პროფესიული განათლების მისაღებად, პარტნიორ დაწესებულებებთან ერთობლივად პროფესიის შესაბამის რეალურ გარემოში, შრომის ბაზარზე ორიენტირებული კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური კადრის მომზადება. ინდივიდის მთელი სიცოცხლის განმავლობაში განათლების მიღების, დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობა. აკადემია არის მრავალპროფილური პროფესიული კოლეჯი, რომლის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს ჯანდაცვა.

ხედვა

2027 წლისთვის აკადემია პროფესიული განათლების სივრცეში მყარადაა დამკვიდრებული და კურსდამთავრებულთა 70% დასაქმებულია კვალიფიკაციის შესაბამისად.

აკდემიის ღირებულებები

- პროფესიონალიზმი
- სამართლიანობა
- გუნდურობა
- საჯაროობა
- თანასწორობა

ინგა მანაშერიძე - ინტერბიზნესის აკადემიის დირექტორი

ინტერბიზნესის აკადემია ერთ-ერთი წარმატებული საგანმანათლებლო დაწესებულებაა საქართველოში, რომელიც სამ ათეულ წელზე მეტია ემსახურება ახალგაზრდა თაობის სწავლა-განათლებას. ჩვენ გთავაზობთ სრულყოფილ, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ სასწავლო გარემოს, საინტერესო და მრავალფეროვან სტუდენტურ ცხოვრებას. აკადემიასთან თანამშრომლობენ ქვეყნის ლიდერი კომპანიები, ჩვენი პარტნიორი-დამსაქმებლები, რომლებიც ჩართულნი არიან პროგრამების განხორციელებაში საკუთარი ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსით. პროგრამებში მაქსიმალურადაა გათვალისწინებული პარტნიორ-დამსაქმებელთა მოთხოვნები. სწავლების უმეტესი ნაწილის პრაქტიკის ობიექტებზე წარმართვა გარანტირებულს ხდის სტუდენტების დასაქმებას. ამ თანამშრომლობის შედეგად, ჩვენი კურსდამთავრებულები წარმატებით საქმიანობენ სხვადასხვა სფეროში. აკადემიაში მოღვაწეობს მაღალი დონის ადმინისტრაციული და სასწავლო პერსონალი, რომელიც ორიენტირებულია სტუდენტების საჭიროებებზე და ცოდნასა და გამოცდილებას არ იშურებს ახალგაზრდობის სწორად აღზრდასა და განათლებისათვის.

პროფესიის არჩევა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცხოვრებისეული გადაწყვეტილებაა. გააკეთეთ სწორი არჩევანი! ისწავლეთ ინტერბიზნესის აკადემიაში! ჩვენ, პარტნიორ-დამსაქმებლებთან ერთად, გთავაზობთ მოთხოვნად პროფესიებს და დასაქმებას.

აკადემიის ისტორია

1992 - დაფუძნდა შპს კომპანია "ინტერბიზნესი" დამფუძნებლები: მიხეილ მანაშერიძე, ინგა მანაშერიძე.

1992 - დაარსდა შპს კომპანია "ინტერბიზნესის" მრავალპროფილიანი სამედიცინო სასწავლებელი.

1995 - დაიწყო თანამშრომლობა იერუსალიმის უნივერსიტეტთან არსებულ ასაფ ჰაროფეს სამედიცინო ცენტრის საფერშლო სკოლასთან.

1995 - დაარსდა შპს კომპანია "ინტერბიზნესის" ხელოვნებისა და შოუბიზნესის აკადემია.

1997 - დაიწყო თანამშრომლობა გერმანიის ქ. ჰანოვერის ყბა-სახის სამკურნალო სამედიცინო უმაღლეს სკოლასთან

1997 - გაიხსნა შპს კომპანია "ინტერბიზნესის" საკუთარი სტომატოლოგიური კლინიკა-ბაზა. ლიცენზია ოებ № 00659.

2000 - საქართველოს განათლების სამინისტროს 2000 წლის 22 მაისის №01–17– 08/808 ლიცენზიით ფუნციონირება დაიწყო შპს კომპანია "ინტერბიზნესის" სტომატოლოგიის ინსტიტუტმა ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამით სტომატოლოგიის სპეციალობით.

2003 - შპს კომპანია "ინტერბიზნესის" სტომატოლოგის ინსტიტუტისა და მრავალპროფილიან სამედიცინო სასწავლებელს მიენიჭა საქართველო-ისრაელის თვალსაჩინო მწერლის, ლიტერატორისა და მთარგმნელის, თამარ მამისთვალოვ-კეზერაშვილის სახელი და წარჩინებული სტუდენტებისათვის დაარსდა მისივე სახელობის სავალუტო სტიპენდია.

2005 - უმაღლეს სასწავლებელს მიენიჭა ინსტიტუციური აკრედიტაცია №2–19207.

2008 - უმაღლესი სასწავლებელი ფუნქციონირებს "ინტერბიზნესის აკადემიის" სახელწოდებით.

2011 - დაიწყო თანამშრომლობა არიელის (ისრაელი) უნივერსიტეტთან. 2012 - "ინტერბიზნესის აკადემიას" 5 წლის ვადით მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი).

2013 - "ინტერბიზნესის აკადემია" საქართველოს კერძო კოლეჯების ასიციაციის დამფუძნებელი პარტნიორია.

2013 - დაიდო ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება არიელის უნივერსიტეტსა (ისრაელი) და შპს "ინტერბიზნესის აკადემიას" შორის ერთობრივ საბაკალავრო პროგრამების "ბიზნესის ადმინისტრირება" და "ინფორმატიკა" განხორციელებაზე.

2014 - უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 20 ნოემბრის #28 გადაწყვეტილებით მიენიჭა უმაღლესი სასწავლო დაწესებულების სტატუსი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება.

2015 - დან ახორციელებს "სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება- გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამას".

2016 - მიენიჭა საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის ბრენდირების 5 ვარსკვლავი.

2016 - მიენიჭა საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური სამსახურის სააგენტოს საუკეთესო პარტნიორის ტიტული „განსაკუთრებული თანამშრომლობის და დასაქმების ხელშეწყობისათვის გაწეული ღვაწლისათვის, სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის განხორციელების ხელშეწყობისათვის".

2017 - მიენიჭა საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის ბრენდირების 5 ვარსკვლავი.

2018 - მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი). პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის 08 მაისის #79 გადაწყვეტილებით.

2022 წლიდან ჩართულია საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის (GCCI) მხარდაჭერით გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women Georgia) პროექტში.

2023 წლიდან აკადემია არის ევროკავშირი-საქართველოს (EUGBC) ბიზნეს საბჭოს წევრი;

2025 - აკადემიამ სრული შესაბამისობით გაიარა რეავტორიზაცია და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის 2025 წლის 31 ივლისის N935514 გადაწყვეტილებით მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება 6 წლის ვადით.

მისამართი: საქართველო, თბილისი 0178, შ. ჯაფარიძის 7.

ტელ.: 260 54 23 ფაქსი.: 261 54 23

ელ-ფოსტა: info@interbusiness.edu.ge

ვებ-გვერდი: www.interbusiness.edu.ge

ინტერბიზნესის აკადემიის პარტნიორები ორგანიზაციები

PSP

1946
ს/ს "კ.ერისთავის სახ. ვეტერინარიული და ველინიკური მედიცინის ეროვნული ცენტრი"

მ.იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო

ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი

საქართველოს კარიტასი
CARITAS GEORGIA

LIBERTY

ალიანსი
CREDO BANK

mazeri
ამზერი

GOODWILL

Georgian AirLink

SOCIAL SERVICE AGENCY
www.ssa.gov.ge

AJARA CHAMBER OF COMMERCE & INDUSTRY
აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატა

თბილისის საბავშვო ბაღ-ბალების მართვის საამქრო

EU-GEORGIA
BUSINESS COUNCIL

UN WOMEN
GEORGIA

IBA 1992
შპს ინტერბიზნესის აკადემია
Interbusiness Academy LTD

ჯანდაცვა

- **ფარმაცია (სააფთიაქო) - V დონე;**
  (მიღება სრული ზოგადი განათლებით)

სწავლის ხანგრძლივობა- 2 წელი;

სწავლების საფასური 8218 ლარი

სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ;

პარტნიორ-დამსაქმებელი: შპს PSP ფარმა;

- **საექთნო საქმე - V დონე;**

(მიღება სრული ზოგადი განათლებით)

სწავლის ხანგრძლივობა- 3 წელი; სწავლების საფასური 11733 ლარი

სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ;

პარტნიორ-დამსაქმებელი: სს „კ.ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრი"; შპს. აკად. ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი; სს ვიანი-მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო; შპს „თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი".

განათლება

- **სკოლამდელი აღზრდა - V დონე;**

(მიღება სრული ზოგადი განათლებით)

სწავლის ხანგრძლივობა- 2 წელი;

სწავლების საფასური 5161 ლარი

სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ;

პარტნიორ-დამსაქმებელი: ა(ა)იპ -N197 ბაგა-ბაღი; ა(ა)იპ N9 ბაგა-ბაღი; ა(ა)იპ N63 ბაგა-ბაღი; ა(ა)იპ ბაგა-ბაღი N38;

ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები

- **ინფორმაციის ტექნოლოგია - III დონე;**

  (მიღება საბაზო განათლებით)

სწავლის ხანგრძლივობა 1 წელი;

სწავლების საფასური 3000 ლარი

სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ;

პარტნიორ-დამსაქმებელი: შპს „მაზერი“; კომპანია შპს „Georgian Airlink“ (მიღება სრული ზოგადი განათლებით)

- **Front end დეველოპმენტი - IV დონე;**

  (მიღება სრული ზოგადი განათლებით)

სწავლის ხანგრძლივობა- 1 წელი;

სწავლების საფასური 3177 ლარი

სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ

ბიზნესის ადმინისტრირება

- **ბუღალტრული აღრიცხვა - V დონე;**

(მიღება სრული ზოგადი განათლებით)

სწავლის ხანგრძლივობა 2 წელი

სწავლების საფასური 4163 ლარი

სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ;

- **საფინანსო სერვისები - III დონე;**
  (მიღება საბაზო განათლებით)

ასაკი 17 წლიდან;

სწავლის ხანგრძლივობა- 1 წელი;

სწავლების საფასური 2739 ლარი

სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ;

პარტნიორ-დამსაქმებელი: სს „ლიბერთი ბანკი“; კრედო ბანკი;

მიმდინარე სასწავლო წელს აკადემია გეგმავს, როგორც ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, ისე მოკლევადიანი პროგრამების დამატებას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა

ფარმაცია (სააფთიაქო) V დონე

III. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:

უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში

IV. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

სრული ზოგადი განათლება

III. კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები:

უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციით ფარმაციაში (სააფთიაქო) პირს შეუძლია დასაქმდეს აფთიაქებში (ავტორიზებულ აფთიაქში, სპეციალიზებულ და საცალო რეალიზაციის სავაჭრო ობიექტში), საბითუმო რეალიზაციის ობიექტზე, სამედიცინო და ფარმაცევტული ტექნიკის მაღაზიებში ფარმაცევტის/ფარმაცევტის თანაშემწის პოზიციაზე.

IV. პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია, ჯანდაცვის სფეროსთვის უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდა, კერძოდ, პროფესიული კადრების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ფარმაცევტული და პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების–განთავსების, აღწერის, პარაფარმაცევტული პროდუქციის შერჩევა-მიწოდების პროცესში მონაწილეობას, ნაშთების პერიოდულ კონტროლს, მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმის დაფასოებას, რეცეპტის მიხედვით წამლის მომზადებას და ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაციას;

V. სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- შეამოწმოს პროდუქცია ვიზუალურად;
- დაადგინოს თანხმლებ დოკუმენტაციასთან იგივეობა;
- შეამოწმოს სასაქონლო ნიშნები და რაოდენობა;
- განათავსოს პროდუქციასათანადო ადგილზე;
- ჩაატაროს სააფთიაქო ნაშთის პერიოდული კონტროლი;
- განახორციელოს ორიგინალური შეფუთვის მცირე შეფუთვებად დაფასოება– მარკირება;
- მომზადება რეცეპტის მიხედვით სითხოვანი, მყარი და რბილი წამლის ფორმები;

- გათვალისწინოს მომხმარებელთან ურთიერთობისას ფარმაცევტული ეთიკის და დეონტოლოგიის პრინციპები;
- განახორციელოს მომხმარებლისათვის სასურველი პროდუქციის შერჩევა-მიწოდება, კონსულტაციის გაწევა პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების, გამოყენების და შენახვის პირობების შესახებ;
- განახორციელოს ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაცია;
- განახორციელოს ანგარიშის მომზადება–ჩაბარება პროდუქციის მიღების, ნაშთის პერიოდული შემოწმების, ექსტემპორალური წამლის ფორმების მომზადების, მცირე შეფუთვებად წამლის ფორმების დაფასოების შესახებ;
- დაიცვას სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები, გარემოსა დაუსაფრთხოების წესები

VI. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

- **მოცულობა:** 120 კრედიტი
- **სავარაუდო ხანგრძლივობა:** 20 სასწავლო თვე

VII. პრაქტიკის და დასაქმების უზრუნველსაყოფად გაფორმებულია ხელშეკრულება შპს „პსპ ფარმა-სთან“.

პროგრამის ხელმძღვანელი: ნანა ვერულაშვილი (თეორიული კომპონენტი)

ნატა ჩხაიძე (პრაქტიკული კომპონენტი)

საექთნო საქმე V დონე

III. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:
უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში

IV. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:
სრული ზოგადი განათლება

III. კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები:
ჯანდაცვის სფერო, სხვადასხვა პროფილის სამედიცინო დაწესებულებები, შინმოვლის სფერო, სხვა ტიპის ორგანიზაციები, რომლებიც საჭიროებს საექთნო მომსახურებას.

IV. პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი, ზოგად მოვლაზე პასუხისმგებელი ექთანი.

V. სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- შეაფასოს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა;
- განახორციელოს თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
- განახორციელოს ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა; განახორციელოს გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
- განახორციელოს კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
- განახორციელოს პერიოპერაციული პაციენტის საექთნო მართვა;
- განახორციელოს სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა;
- განახორციელოს პედიატრიული პაციენტის საექთნო მართვა;
- განახორციელოს და უზრუნველყოს შინმოვლის მომსახურების გაწევა;
- განახორციელოს და უზრუნველყოს გერიატრიული პაციენტის საექთნო მართვა;
- დაგეგმოს და განახორციელოს საკუთარი პრაქტიკისა და მოვლის ხარისხის შეფასება.

VI. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

მოცულობა: 180 კრედიტი

სავარაუდო ხანგრძლივობა: 30 სასწავლო თვე

VII. პრაქტიკის და დასაქმების უზრუნველსაყოფად გაფორმებულია ხელშეკრულება სს „კ. ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრთან“; შპს. აკად. ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრთან; სს ვიანი-მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოსთან; შპს „თბილისის ფსიქუკური ჯანმრთელობის ცენტრთან“

პროგრამის ხელმძღვანელი: ქეთევან ქოქიაური (პრაქტიკული კომპონენტი);

თათია კაციტაძე (თეორიული კომპონენტი).

სკოლამდელი აღზრდა V დონე

I. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:

უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში.

II. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

სრული ზოგადი განათლების ქონა.

III. კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს აღმზრდელის პოზიციაზე, ასევე იმუშაოს თვითდასაქმებით, აღმზრდელად.

IV. პროგრამის მიზანი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია კვალიფიციური კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს ადრეულ და სკოლამდელ ასაკში ბავშვზე ზრუნვას, მის აღზრდას და განვითარებას. ამ მიზნებისთვის აღმზრდელმა უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო და განმავითარებელი სააღმზრდელო გარემო და ამ პროცესში შეძლოს ბავშვის ოჯახთან, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების კოლექტივთან, სფეროს წარმომადგენლებთან კომუნიკაცია და საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.

V. სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

ა) ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვის ჰოლისტური განვითარება, მათი ასაკობრივი თავისებურებების, ინტერესების, ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით;

ბ) მრავალფეროვანი, მასტიმულირებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის დაგეგმვა და მართვა;

გ) ბავშვის განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიების გამოყენება;

დ) წარმატებული, უსაფრთხო, მხარდამჭერი სააღმზრდელო გარემოს შექმნა.

VI. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

მოცულობა: 116 კრედიტი

სავარაუდო ხანგრძლივობა: 18 სასწავლო თვე

VI. პრაქტიკის და დასაქმების უზრუნველსაყოფად გაფორმებულია ხელშეკრულება ა(ა)იპ -N197, N63; N38 და N9 საბავშვო ბაგა-ბაღთან.

პროგრამის ხელმძღვანელი: ხათუნა წერეთელი

ბუღალტრული აღრიცხვა V დონე

I. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:

უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში

II. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

სრული ზოგადი განათლება

III. კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები:

ბუღალტრულ აღრიცხვაში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირი შესაძლოა დასაქმდეს კერძო და საჯარო უწყებებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში საბუღალტრო და საფინანსო სამსახურებში, აუდიტორულ და საკონსულტაციო კომპანიებში მთავარ ბუღალტრად, ბუღალტრის თანაშემწედ/ ასისტენტად, ბუღალტერ-მოანგარიშედ. შესაძლებელია თვითდასაქმებაც, კერძო პროფესიული პრაქტიკის განხორციელების გზით.

IV. პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია მოამზადოს და შრომის ბაზარს შესთავაზოს კვალიფიციური ბუღალტერი, რომელიც შეძლებს მონაწილეობის მიღებას სამეწარმეო, არასამეწარმეო, სახელმწიფო ორგანიზაციის/ დაწესებულების ან პირის სააღრიცხვო პოლიტიკის დაგეგმვაში, ორგანიზებასა და წარმართვაში; ფინანსური, ბუღალტრული ანგარიშებისა და ჩანაწერების შემოწმებასა და ანალიზს, რათა უზრუნველყოს მათი შესაბამისობა დადგენილ კანონმდებლობასა და სტანდარტებთან; განახორციელებს ბუღალტრულ გატარებებს; შეადგენს და დადგენილი წესით წარადგენს საგადასახადო დეკლარაციებს; უზრუნველყოფს საგადასახადო ვალდებულებების გადარიცხვას სახელმწიფო ბიუჯეტში; ასევე შეძლებს ფინანსურ ანგარიშგების, პირველად სააღრიცხვო და სხვადასხვა სახის ფინანსურ დოკუმენტაციის შედგენას გარე და შიდა მომხმარებლებისათვის.

V. სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- შეიმუშაოს სააღრიცხვო პოლიტიკა;
- შეავსოს და არგუმენტირება გაუკეთოს სამუშაო ფორმებს (სააღრიცხვო დოკუმენტები);
- აწარმოოს ბუღალტრული ოპერაციები;
- შეავსოს და გააგზავნოს დეკლარაციები;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება;

- აწარმოოს ბუღალტრული აღრიცხვა ეკონომიკური საქმიანობის ზოგიერთი სახეობის მიხედვით;
- აწარმოოს კონტროლი სამეურნეო სუბიექტის საბუღალტრო აღრიცხვაზე;
- აწარმოოს მმართველობითიაღრიცხვა;
- შეასრულოს ეკონომიკური ანალიზი.

VI. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

- **მოცულობა:** 99 კრედიტი
- **სავარაუდო ხანგრძლივობა:** 15 სასწავლო თვე

VII. პრაქტიკის უზრუნველსაყოფად გაფორმებულია ხელშეკრულება ლუკა პაჩიოლის საბუღალტრო ცენტრის შპს „ფოლოუმ-თან“ და შპს “უნივერსალკონსალტინგი 22“-თან.

პროგრამის ხელმძღვანელი: ალექსანდრე ალიმბარაშვილი

Front end დეველოპმენტი IV დონე

I. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:

საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია Front-end დეველოპმენტში

II. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

სრული ზოგადი განათლება

III. კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები:

Front-end დეველოპერი შესაძლოა დასაქმდეს კერძო ან საჯარო დაწესებულებებში, ასევე თვითდასაქმებით Front-end დეველოპერის პოზიციაზე.

IV. პროგრამის მიზანი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება.

V. სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- შექმნას ვებ გვერდის მომხმარებლის ინტერფეისი;
- შექმნას ინტერაქტიული ვებ გვერდი;
- განახორციელოს ვებ გვერდის ოპტიმიზაცია;
- განახორციელოს ვებ პროექტის ვერსიების კონტროლი;
- უზრუნველყოს საკუთარი პროფესიული განვითარება.

VI. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

- **მოცულობა:** 60 კრედიტი
- **სავარაუდო ხანგრძლივობა:** 10 სასწავლო თვე

პროგრამის ხელმძღვანელი: ალექსანდრე კეკენაძე

ინფორმაციის ტექნოლოგია III დონე

I. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში

II. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

საბაზო განათლება

III. კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები:

ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს ტექნიკური მხარდაჭერის სპეციალისტად ნებისმიერ სახელწიფო/მუნიციპალურ ორგანიზაციაში ან/და კერძო კომპანიაში, სადაც გამოიყენება ინფორმაციული ტექნოლოგიები.

IV. პროგრამის მიზანი:

ჩარჩო დოკუმენტის მიზანია, შემუშავებულ იქნას ისეთი პროფესიული პროგრამა, რომელიც ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროსთვის უზრუნველყოფს კონკურენტუნარიან კადრის აღზრდას; პერსონალური კომპიუტერის აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის კვალიფიცირებული სპეციალისტის მომზადებას, რომელიც ფლობს აპარატურული უზრუნველყოფისა და ოპერაციული სისტემების დაყენების, განახლების, დაზიანებების აღმოფხვრის, ოპტიმიზაციის, დიაგნოსტირებისა და მომსახურებისათვის საჭირო სპეციალურ ტექნიკურ უნარ-ჩვევებს; აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.

V. სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- ააწყოს და დააკომპლექტოს პერსონალურიკომპიუტერი;
- დაამონტაჟოს პერიფერიული მოწყობილობები;
- დააინსტალიროს და გამართოს ოპერაციული სისტემა;

- დააინსტალიროს გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფა;
- უზრუნველყოს ოპერაციული სისტემის უსაფრთხოება;
- განასხვავოს ქსელების ფუნდამენტური პრინციპები და ტიპები;
- გაარჩიოს ქსელში ინფორმაციის მიმოცვლის მოდელების (TCP/IP,OSI) შრეები და ამ შრეებზე მომუშავე პორტები და ოქმი;
- გამართოს მარტივი სადენიანი და უსადენო შიდა ქსელი;
- შეაფასოს აპარატურული და პროგრამული რისკები და განსაზღვროს პრევენციული ზომები;
- მოახდინოს აპარატურული და პროგრამული პრობლემის იდენტიფიცირება და აღმოფხვრას გაუმართაობა. IV. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:
- მოცულობა: 60 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა: 9 სასწავლო თვე

V. პრაქტიკის უზრუნველსაყოფად გაფორმებულია ხელშეკრულება შპს „მაზერი“-სთან;

პროგრამის ხელმძღვანელი: შოთა გრიგოლაშვილი

საფინანსო სერვისები III დონე

I. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში

II. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

საბაზო განათლება და არანაკლებ 17 წელი

III. კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები:

საფინანსო სერვისებში მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირი შესაძლებელია დასაქმდეს სხვადასხვა სავაჭრო ობიექტების მოლარედ, მათ შორის - გაყიდვების სალაროებში; ბანკებსა და არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო დაწესებილებებში მოლრისა და ოპერატორის პოზიციაზე, ასევე ნივთების დაგირავებითა და ფულადი თანხების გაცემით დაკავებული აგენტებისა და ბუკმეკერების პოზიციებზე.

IV. პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია,

უზრუნველყოს ისეთი კვალიფიციური საფინანსო სერვისების პერსონალის მომზადება, რომელიც შეძლებს სხვადასხვა ტიპის საფინანსო მომსახურების გაწევასა და მომხმარებლის საფინანსო სერვისებთან დაკავშირებულ ინფორმირებას.

VI. სწავლის შედეგები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია

- აწარმოოს ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორება სავაჭრო და საბანკო დაწესებულებებში;
- განახორციელოს სალარო და საბანკო ოპერაციები;
- შესთავაზოს კლიენტებს საბანკო პროდუქტები
- ეფექტურად მოემსახუროს კლიენტებს.

VI. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

- მოცულობა: 51 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა: 8 სასწავლო თვე

VII. პრაქტიკის უზრუნველსაყოფად გაფორმებულია

ხელშეკრულება: ბანკი ლიბერთი, სს კრედო ბანკი, სს გუდვილი.

პროგრამის ხელმძღვანელი: თამარ სანიშვილი

IBA 1992
შპს ინტერბიზნესის აკადემია
Interbusiness Academy LTD

პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება

1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.

2. განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენება მიმდინარე და შუალედური შეფასება (მხოლოდ იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის, რომლისთვისაც სტანდარტით არის განსაზღვრული საკვალიფიკაციო გამოცდა). განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

3. შუალედური შეფასება (მხოლოდ იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის, რომლისთვისაც სტანდარტით არის განსაზღვრული საკვალიფიკაციო გამოცდა) წარმოადგენს პროგრამის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის და სტუდენტებისათვის განმავითარებელი უკუკავშირის მიცემის ერთ-ერთ მექანიზმს. შუალედური შეფასების (მხოლოდ იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის, რომლისთვისაც სტანდარტით არის განსაზღვრული საკვალიფიკაციო გამოცდა) საგანს წარმოადგენს პროფესიული ცოდნა, უნარები/კომპეტენციები, რომლის შინაარსიც ეფუძნება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელ მოდულებს.

4. შუალედური შეფასება (მხოლოდ იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის, რომლისთვისაც სტანდარტით არის განსაზღვრული საკვალიფიკაციო გამოცდა) ტარდება პროგრამის განხორციელების შუა ეტაპზე, როცა პროფესიულ სტუდენტს გავლილი აქვს მოდულების შესაბამისი სწავლის შედეგების არანაკლებ 40% და არაუმეტეს 60%. თემატიკა უნდა შეეხოს მხოლოდ შეუალედური შეფასების ჩატარებამდე მიღწეული სწავლის შედეგებს. შუალედური შეფასება (მხოლოდ იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის, რომლისთვისაც სტანდარტით არის განსაზღვრული საკვალიფიკაციო გამოცდა) უნდა იძლეოდეს პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული კომპეტენციების ჰოლისტური შეფასების შესაძლებლობას;

5. პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, შუალედური შეფასებისათვის (მხოლოდ იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის, რომლისთვისაც სტანდარტით არის განსაზღვრული საკვალიფიკაციო გამოცდა) შესაძლებელია გამოყენებულ იქნას: თეორიული შეფასება; პრაქტიკული უნარების დემონსტრირება; პროექტის პრეზენტაცია; სიტუაციის განხილვა და ანალიზი; სხვა რელევანტური მეთოდები ან მათი კომბინაცია;

6. შუალედური შეფასებაში (მხოლოდ იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის, რომლისთვისაც სტანდარტით არის განსაზღვრული საკვალიფიკაციო გამოცდა) მონაწილეობა სავალდებულოა ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, თუ პროფესიული სტუდენტი საპატიო მიზეზით ვერ გამოცხადდება შუალედურ შეფასებაზე და წარმოადგენს საპატიო მიზეზის დამადასტურებელ დოკუმენტს ჩაინიშნება დამატებითი შალედური შეფასება.

შუალედური შეფასების (მხოლოდ იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის, რომლისთვისაც სტანდარტით არის განსაზღვრული საკვალიფიკაციო გამოცდა) არ ქონის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი არ დაიშვება საკვალიფიკაციო გამოცდაზე. შუალედურ შეფასებაზე არ გამოცხადების საპატიო მიზეზად ჩაითვლება: ჯანმრთელობის ან ოჯახური მდგომარეობა, რაც მოკლებულია ძირითად ვადებში შეფასების პროცესში მონაწილეობას; ფორს მაჟორული გარემოება;

7. პროფესიული სტუდენტის ინფორმირება შუალედური შეფასების (მხოლოდ იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის, რომლისთვისაც სტანდარტით არის განსაზღვრული საკვალიფიკაციო გამოცდა) თარიღისა და ფორმატის შესახებ ხორციელდება, შეხვედრის/მეილის/მესიჯის ან/და სხვა საკომუნიკაციო საშუალებით, დირექტორის მიერ ინდივიდუალურ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა;

8. შუალედური შეფასების (მხოლოდ იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის, რომლისთვისაც სტანდარტით არის განსაზღვრული საკვალიფიკაციო გამოცდა) შედეგების შესახებ პროფესიულ სტუდენტებს მიეწოდებათ უკუკავშირი; გარე მობილობის შემთხვევაში, პროფესიულმა სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს ოფიციალური დოკუმენტი შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის ფაქტის შესახებ;

9. განმავითარებელი შეფასება არ აისახება განმსაზღვრელ შეფასებაში;
10. განმსაზღვრელი შეფასება ხორციელდება სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების მიზნით. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას: სწავლის შედეგი დადასტურდა; სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა

11. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება შეფასების გამოცხადებიდან არანაკლებ 10 დღეში ან/და პროგრამის დასრულებამდე. თუ დაუდასტურებელი მოდული წარმოადგენს მეორე მოდულის წინაპირობას შედეგის დადასტურება უნდა განხორციელდეს იმ მოდულის დაწყებამდე, რომლის წინაპირობასაც წარმოადგენს.

12. თუ პროფესიული სტუდენტი განმეორებით გამოცდაზე გადის: არ გამოცხადების გამო, შესაძლებელია გამოყენებული იქნას იგივე შეფასების ინსტრუმენტი.

შედეგის ვერ დადასტურების გამო პრაქტიკული დავალების შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებული იქნას იგივე შეფასების ინსტრუმენტი, ტესტის შემთხვევაში ღია კითხვები შესაძლებელია დარჩეს უცვლელი, ხოლო დახურულ კითხვებში „დაზეპირების“ თავიდან აცილების მიზნით მოხდეს დისტრაქტორების ნუმერაციის ცვლილება

13. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს 2-ჯერ გავიდეს დამატებით გამოცდაზე, შედეგის ვერ დადასტურების შემთხვევაში ვალდებულია მოდული გაიაროს თავიდან, ამ მოდულის კრედიტების რაოდენობის საფასურის გადახდით.

14. სწავლის შედეგის დადასტურება ერთი პროგრამის ფარგლებში მხოლოდ ერთხელ ხდება;

15. შესაძლებელია რამოდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად დადასტურება;

16. შეფასების შედეგი ფორმდება შეფასების უწყისით;

17. პროფესიულმა სტუდენტებმა უნდა მიიღონ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. თუ შეფასება არ ხდება ელექტრონული https://testmoz.com/ პლატფორმის მეშვეობით, უკუკავშირის დროს დაცული უნდა იყოს პერსონალური მონაცემები. დაუშვებელია ჯგუფში კონკრეტული სტუდენტის იდენტიფიცირების პირობებში მისი შეფასების გასაჯაროვება, თუ ამაზე სტუდენტს არ აქვს გამოხატული თანხმობა (სიტყვიერად ან წერილობით), ამისათვის პროფესიული მასწავლებელი უკვე გასწორებულ შედეგებს ურიგებს პროფესიულ სტუდენტებს, რათა ნახონ რა დაუდასტურდათ და რა არა, შედეგების განხილვა პროფესიული მასწავლებლის მიერ განიხილება განზოგადოებულად.

18. პროფესიული სტუდენტი, რომელიც არ ეთანხმება გამოცდაზე მიღებულ შეფასებას, უფლებამოსილია, შედეგის გაცნობიდან არა უგვიანეს მეორე დღისა, დასაბუთებული საჩივრით მიმართოს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსს და მოითხოვოს შედეგების გადასინჯვა. საჭიროების შემთხვევაში, საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს შიდა მონიტორინგის ჯგუფი.

19. აპელაციის განხილვა უნდა მოხდეს არ უმეტეს 5 სამუშაო დღეში და გადაწყვეტილება პროფესიულ სტუდენტს ეცნობება პირადად ან/და ელ.ფოსტით;

20. გაცნობითი პრაქტიკა როგორც წესი ხორციელდება აკადემიის ბაზაზე არსებულ გარემოში და პარტნიორ ორგანიზაციაში განხორციელებული ექსკურსიით, გაცნობითი პრაქტიკას ხელმძღვანელობს პრაქტიკის ხელმძღვანელი (აკადემიის წარმომადგენელი), რომელიც პასუხისმგებელია სასწავლო პრაქტიკის განხორციელებაზე; გაცნობითი პრაქტიკის შეფასება დეტალურადაა გაწერილი გაცნობითი პრაქტიკის მოდულში.

21. პროფესიული სტუდენტი, რომელიც იმყოფება პრაქტიკაზე, ვალდებულია აწარმოოს აკადემიის მიერ შემუშავებული დღიური. დღიურის შევსება წარმოებს რეგულარულად. პერიოდულად, არანაკლებ კვირაში ერთხელ, პროფესიული სტუდენტი ვალდებულია წარუდგინოს დღიური პრაქტიკის ხელმძღვანელს და მენტორს.
დღიურში ჩანაწერები უნდა წარმოებდეს მოდულის მიხედვით.

22. პრაქტიკის დამთავრების წინ პროფესიული სტუდენტი ვალდებულია წარუდგინოს მენტორს დღიური, რის შემდეგაც უნდა მიიღოს დახასიათება პრაქტიკის პერიოდში გაწეული მუშაობის საფუძველზე და ჩააბაროს პრაქტიკის დღიური და დახასიათება აკადემიიდან დანიშნულ პრაქტიკის ხელმძღვანელს.

23. პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების აუცილებელ პირობას წარმოადგენს საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება, რომლის მიზანია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების პროფესიული მოვალეობებისა და ამოცანების შესრულების პროცესში კომპლექსურად გამოყენების უნარის შეფასება; პროფესიული სტუდენტისათვის საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების საფუძველს წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგის დადასტურება და შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა. პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭება ხდება საკვალიფიკაციო კომისიის მიერ.

24. აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი დონის პროფესიული კვალიფიკაცია. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება ხდება აკადემიის დირექტორის სამართლებრივი აქტით საკვალიფიკაციო კომისიის ოქმის საფუძველზე;

25. საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება პროგრამის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა; საკვალიფიკაციო გამოცდის თარიღი და ფორმატი განისაზღვრება კონკრეტული ჯგუფისათვის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით, არაუგვიანეს საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებამდე ერთი თვით ადრე; პროფესიული სტუდენტის ინფორმირება საკვალიფიკაციო გამოცდის თარიღისა და ფორმატის შესახებ ხორციელდება შეხვედრის/მეილის/მესიჯის ან/და სხვა საკომუნიკაციო საშუალებით, დირექტორის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა;

26. პირი უფლებამოსილია საკვალიფიკაციო გამოცდაზე გავიდეს არაუმეტეს 3-ჯერ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებიდან სამი წლის განმავლობაში; საკვალიფიკაციო გამოცდის ვერ ჩაბარების შემთხვევაში, პირი უფლებამოსილია განმეორებით მოიპოვოს პროფესიული სტუდენტის სტატუსი, სრულად გაიაროს პროგრამა და მოიპოვოს საკვალიფიკაციო გამოცდაზე გასვლის უფლება;

27. პროფესიული სტუდენტის სტატუსის განმეორებით მოპოვების შემთხვევაში პირი არ არის უფლებამოსილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები დაიდასტუროს ფორმალური განათლების აღიარების გზით;

28. საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგების შესახებ ინფორმაციის მიღებიდან 24 საათის ვადაში სტუდენტს უფლება აქვს წერილობით გაასაჩივროს კომისიის გადაწყვეტილება; საპრეტენზიო განაცხადი შეიძლება წარდგენილი იქნეს საკვალიფიკაციო გამოცდის პროცედურის არსებითი დარღვევის ფაქტის თაობაზე, არსებითია დარღვევა, რომელმაც იქონია გავლენა საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგზე (გამოცდა გვიან დაიწყო ან/და ადრე დასრულდა; არ მიეცა გამოცდისთვის განკუთვნილი დროის სრულად გამოყენების საშუალება, მის მიმართ დაირღვა სამართლიანობის უფლება და სხვ.)

29. საჩივრის განხილვას უზრუნველყოფს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საპრეტენზიო კომისია; საპრეტენზიო კომისია მტკიცდება განაცხადის შემოტანიდან არაუგიანეს 3 დღეში; დაუშვებელია საპრეტენზიო კომისიაში შედიოდენ პირები, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ საკვალიფიკაციო გამოცდის კომისიაში.

საპრეტენზიო კომისია უფლებამოსილია განიხილოს სტუდენტის საჩივარი 20 დღის ვადაში და მიიღოს ერთერთი გადაწყვეტილება: ა) საკითხის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ; ბ) საკითხის საკვალიფიკაციო კომისიისათვის განსახილველად დაბრუნების და დამატებითი შეფასების ორგანიზების შესახებ;

30. დამატებითი შეფასების შემთხვევაში საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება დადგენილი წესით, საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილებიდან არაუგვიანესს ერთ თვეში. დაუშვებელია დამატებით შეფასებაზე დაშვებისათვის პირს დაუწესდეს საფასური;

31. კვლიფიკაციის მინიჭების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნას საჩივრის შემოტანიდან ორი თვის ვადაში;

32. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სწავლის შედეგის დადასტურების შემდგომ, პირს უნარჩუნდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი, პირველ საკვალიფიკაციო გამოცდაზე გასვლამდე და კვალიფიკაციის მინიჭებამდე;

33. პირველ საკვალიფიკაციო გამოცდაზე გაუსვლელობის ან საკვალიფიკაციო გამოცდის ვერ ჩაბარების შემთხვევაში, პირს უნარჩუნდება უფლება გავიდეს საკვალიფიკაციო გამოცდაზე მომდევნო 2 წლის განმავლობაში, შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამამთავრებელი კურსის პროფესიულ სტუდენტებთან ერთად.

გალერეა
აკადემიის აქტივობები


IBA 1992
ერვინთან
სწავლა
სტიქვლია





IBA 1992
Academy LTD
რა? სად? რიდის?

IBA 1992

IBA 1992



IBA

IBA 1992

IBA

IBA 1992
HDMI 1
No Signal(is it on?)

IBA

IBA 1992


IBA 1992

IBA 1992

IBA 1992

IBA 1992

სკკა BCAG

ტრენინგები










SBA

სასწავლო პროცესი







IBA 1992
LIBERTY







უსაფრთხოება

ინფრასტრუქტურა













IBA